სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02/11/16
SMP160002804

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2016 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

1. **„შემსყიდველი":** **სსიპ - "სსდ ცენტრი" (ს/კ: 205307960)**

1.1. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): დირექტორი - დავით ტორუა

1.2. **„მიმწოდებელი":** **ი.მ. „ლალი გეგიაძე" (ს/კ: 42001027834)**

1.2.1. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): წარმომადგენელი - გია კალაჯიშვილი

(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N:161245169
ინდივიდუალური N:07645987043416)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის 3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 4 ნოემბრის N3073 განკარგულების საფუძველზე, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" შუახევისა და ხულოს რაიონული სამსახურებისთვის II ხარისხის(საშუშე) მერქნული რესურსის მოჭრისა და მიწოდების მომსახურების (**სატყეო მეურნეობებთან დაკავშირებული მომსახურებები - CPV77200000**) შესყიდვა, ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული მახასიათებლებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. ცხრილი

#	დასახელება	მახასიათებელი	ერთეული	რაოდ.	ერთ. ღირებულება	მთ. ღირებულება
1	II ხარისხის (საშუშე) მერქნული რესურსი	დაპობილი/ დაჭრილი 40-45 სმ	კბ.მ.	32	120	3840.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 3840.00 (სამი ათას რვაას ორმოცი) ლარს და მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის" ყველა ხარჯს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდას უზრუნველყოფს „შემსყიდველი".

4.2. „შემსყიდველი" ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში „მომწოდებელს" გადასცემს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს" მიერ გაცემულ შეშის მოპოვების შესაბამის ბილეთებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილებად განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული „შემსყიდველის" რაიონული სამსახურები (მისამართის ცვლილება შესაძლებელია შემსყიდველთან შეთანხმებით).

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახამდ შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემდეგი განაწილების მიხედვით;

5.2.1.1.სსიპ „სსდ ცენტრის" შუახევის რაიონული სამსახურისთვის **8 კბ.მ** მერქნული რესურსი;

5.2.1.2.სსიპ „სსდ ცენტრის" ხულოს რაიონული სამსახურისთვის **8 კბ.მ** მერქნული რესურსი;

5.2.1.3.სსიპ „სსდ ცენტრის" ხულოს რაიონული სამსახურის სხალთის ფილიალისთვის **8 კბ.მ** მერქნული რესურსი;

5.2.1.4.სსიპ „სსდ ცენტრის" ხულოს რაიონული სამსახურის ღორჯომის ფილიალისთვის **8 კბ.მ** მერქნული რესურსი.

5.3. შესყიდვის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.

6.2. ხელშეკრულების ობიექტის მიღება/ჩაბარებას ახორციელებენ „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

6.3. მიღება–ჩაბარება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში აღნიშნულ მისამართზე.

6.3.1. დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტა - ლარში, „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

7.2. ანგარიშწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. <u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

8.1.1. უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისთვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

8.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი.

8.2. <u>„შემსყიდველი" უფლებამოსილია:</u>

8.2.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიწოდება.

8.2.2. „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2.3. თვითონ ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლად განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება.

8.2.4. მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება.

8.3. <u>„მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>

8.3.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ამავე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

8.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარუდგინოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

8.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

8.3.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რის შემდეგ მხარეები გააფორმებენ შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

8.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელი პირობების შესახებ.

8.3.6. წინამდებარე ხელშეკრულების პერიოდში სუბკონტრაქტების გაფორმების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4. <u>„მიმწოდებელი" უფლებამოსილია:</u>

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1. "მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობა

10.1. წინამდბეარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებს პირობები „შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პრობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით მიაწოდოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. შეტყობინება

12.1. ნემისმიერი შეტყობინება, მხარეებს გაეგზავნებათ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში მითითებულ დღეს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარეობებთან დაკავშირებით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეები პირგასამტეხლოს სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%–ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

14.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1. მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, მითითებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი მოქმედების ვადა.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შესყვეტის საფუძველს.

16. ფორს–მაჟორი

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტრიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

16.4. მხარე რომლესაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

18.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

18.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

18.3. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

18.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის, რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

18.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

19.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

19.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

19.5. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

19.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზამპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მიმწოდებელთან".

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
სსიპ „სსდ ცენტრი"
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #144
ფაქტიური მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #117
დაფინანსების წყარო:
სახელმწიფო ბიუჯეტი
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 3503030702

„მიმწოდებელი"
ი.მ. „ლალი გეგიაძე"
ს/კ: 42001027834
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. ფოთი, ციტრუსების მეურნ.
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ნ GE38BG0000000745691700

დავით ტორუა

გრიგალაჯიშვილი

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე;

გ. ტარუღიშვილი;

ვ. ჭანიშვილი;

გ. აბულაძე

გ. თოფურია;

შემსრულებელი: ნ. გამრკელი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/11/16 ხელშეკრულების
დანართი

ქ. თბილისი

7 ნოემბერი 2016 წ.

N	მიწოდების ადგილი
1	სსიპ „სსდ ცენტრის“ ხულოს რაიონული სამსახური, დ.აღმაშენებლის ქ. N1;
2	სსიპ „სსდ ცენტრის“ ხულოს რაიონული სამსახურის სხალთის ფილიალი;
3	სსიპ „სსდ ცენტრის“ ხულოს რაიონული სამსახურის ღორჯომის ფილიალი;
4	სსიპ „სსდ ცენტრის“ შუახევის რაიონული სამსახური, რუსთაველის ქ. N32.

„შემსყიდველი“
სსიპ „სსდ ცენტრი“
ს/კ: 205307960

„მიმწოდებელი“
ი.მ. „ლალი გეგიაძე“
ს/კ: 42001027834

დავით ტორუა

გია კალაჯიშვილი